



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი“

(ქსელური და ვებტექნოლოგიების ცენტრი)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ

----- 2018 წ., № ----- დადგენილებით,

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს
(სენატის) მიერ

----- 2018 წ., № ----- დადგენილებით,

თბილისი

2018 წ.

თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის(შემდგომში უნივერსიტეტი) წესდების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 2

სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) თავისი ამოცანების და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს უნივერსიტეტს.

მუხლი 3

ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

თავი 2. ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 4

ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის მართვას, მის შემდგომ განვითარებას, კავშირს ინტერნეტის ქსელთან და ინტრანეტის სერვისების მხარდაჭერას.

ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფორმაციული და ვებ-რესურსების შექმნას, მხარდაჭერას, განთავსებას და უსაფრთხოებას.

სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი ახორციელებს სისტემის მართვის ერთიან პოლიტიკას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას.

ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის მომხმარებლებისათვის სისტემის გამოყენების წესებისა და ნორმების შემუშავებას, აგრეთვე სისტემის კიბერ-უსაფრთხოებას.

მუხლი 6

კომპიუტერული და ქსელური ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად ცენტრი ახდენს საუნივერსიტეტო ქსელური და ვებ-სერვისების მოთხოვნების კვლევას და მის საფუძველზე განვითარების და გაფართოების პროექტების მომზადებას.

ცენტრი უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისების მიზნით ატარებს სემინარებს, ტრენინგებს და საინფორმაციო შეხვედრებს კომპიუტერულ, ქსელურ და ინტერნეტ(ვებ) ტექნოლოგიებში.

ცენტრი მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო ინსტიტუტების და უნივერსიტეტის სხვა კომპიუტერული ცენტრების ინტეგრაციას ერთიან საუნივერსიტეტო სივრცეში.

მუხლი 7

ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს CISCO-ს ქსელური აკადემია, რომელიც იძლევა ქსელურ ტექნოლოგიებში, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა საერთაშორისო პროგრამით სწავლებისა და სერტიფიცირების საშუალებას.

მუხლი 8

ცენტრი ახორციელებს შემდეგი სერვისების მხარდაჭერას:

- ვებ-სერვისი <http://gtu.ge>; <http://gtu.edu.ge>;
- ელექტრონული ფოსტის სერვისის <http://mail.gtu.ge>;
- ცენტრალიზებული საუნივერსიტეტო Wi-Fi სისტემა;
- ვებ-ჰოსტინგი უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის;
- მეცნიერული მიღწევების მონაცემთა სისტემა <http://gtu.edu.ge/mecniereba>;
- ცენტრალიზებულ საუნივერსიტეტო ანტივირუსული სერვერი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა <http://leqtori.gtu.ge>;
- ელექტრონული სწავლების და ტესტირების სერვერს <http://elearning.gtu.ge>; <http://testing.gtu.ge>;
- პროფესორთა რეგისტრაციის სისტემის ქსელურ მხარდაჭერას;
- ქსელური სერვისების მონიტორინგის სისტემებს <http://netstat.gtu.ge>;
- ინტერნეტ-ტელევიზია;
- პროფესიონალური ვიდეო საკონფერენციო სისტემა;
- სხვა ინფორმაციული სისტემების მხარდაჭერა, რომელთაც ჭირდებათ ქსელური ან სერვერული უზრუნველყოფა;
- ცენტრი უზრუნველყოფს ინტერნეტ სერვისის, ქსელური და ვებ სისტემების, უსაფრთხოების პროგრამულ-აპარატურული საშუალებების და სხვა ტექნოლოგიების მოთხოვნის ანალიზს და კვლევას და მის საფუძველზე შესასყიდი დოკუმენტაციის მომზადებას;
- ცენტრი ზედამხედველობას უწევს ქსელის გაფართოების და მოდერნიზაციის სამუშაოების განხორციელებას და იბარებს შესრულებულ სამუშაოს.

თავი 3. ცენტრის სტრუქტურა

მუხლი 9

ცენტრი აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

1. სისტემების და ქსელის ადმინისტრირების ჯგუფი;
2. სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მხარდაჭერის და გაფართოების ჯგუფი;
3. ვებ-სერვისების მხარდამჭერის ჯგუფი.

მუხლი 10

1. სისტემების და ქსელის ადმინისტრირების ჯგუფი ახორციელებს სტუ-ს კომპიუტერული ქსელის, სერვერების და სისტემების მართვას და ტექნიკურ მხარდაჭერას. უზრუნველყოფს ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოებას, უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის კავშირს ინტერნეტთან და საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული სერვისების მონიტორინგს.
2. ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის და გაფართოების ჯგუფი უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერას, ქსელში ახალი მომხმარებლების ჩართვას, ქსელის მონტაჟს ან სამონტაჟო სამუშაოებზე ზედამხედველობას და მიმდინარე წარმოქმნილ პრობლემებზე ოპერატიულ რეაგირებას.
3. ინტერნეტ(ვებ) სერვისების უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს უნივერსიტეტის ვებ-საიტის და საფოსტო სერვერის მხარდაჭერას. უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის საფოსტო ყუთების რეგისტრაციას და საფოსტო სერვერის მართვას; კოორდინაციას უწევს ფაკულტეტების და სტრუქტურული ქვედანაყოფების ვებ გვერდების შექმნას და მათ დინამიურ მხარდაჭერას.

მუხლი 11

ცენტრის საშტატო განრიგი შედგება შემდეგი ერთეულებისგან:

- ცენტრის უფროსი;
- სისტემის მთავარი ადმინისტრატორი (უფროსის მოადგილე);
- ქსელის მთავარი ადმინისტრატორი;
- სისტემის ადმინისტრატორი;
- ინფორმაციის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- ქსელის ადმინისტრატორი;
- ქსელის ინჟინერი;
- ვებ დეველოპერი (ვებ ოსტატი);
- ვებ პროგრამისტი;
- ვებ დიზაინერი;
- კონტენტ მენეჯერი.

საშტატო ერთეულების ფუნქციების აღწერა

- **ცენტრის უფროსი** - კოორდინაციას უწევს ცენტრის მუშაობას, წარმოადგენს მას საუნივერსიტეტო და საერთაშორისო დონეზე. ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, ადგენს ერთჯლიან და მრავალჯლიან განვითარების გეგმას. აკეთებს ცენტრის მუშაობის ანგარიშს, სტუ-ს ქსელის მომხმარებლებისათვის, სერვისების უკეთ მიწოდების მიზნით გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს. ორგანიზებას უწევს ცენტრის და უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას. ცენტრის თანამშრომლებს აძლევს წერილობით და ზეპირ

დავალებებს. ანგარიშვალდებულია რექტორის და ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის წინაშე. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს ცენტრის უფროსის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

- **სისტემის მთავარი ადმინისტრატორი**(უფროსის მოადგილე) - მართავს სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრში არსებული ძირითად სერვისებს და სერვერებს (web services, email, FTP და სხვა) და უზრუნველყოფს მის უწყვეტ და საიმედო მუშაობას. მთავარი ადმინისტრატორი ცენტრის უფროსთან ერთად განსაზღვრავს თუ რა სერვისები და ტექნოლოგიები უნდა იქნეს გამოყენებული უნივერსიტეტში არსებული ამოცანების გადასაწყვეტად. სისტემის მთავარი ადმინისტრატორი, ქსელის მთავარ ადმინისტრატორთან ერთად ახორციელებს ძირითადი (ცენტრალური) ქსელური კვანძის მოდერნიზაციას და კონფიგურაციას. ადგენს სისტემური უსაფრთხოების პოლიტიკას. ქსელის მთავარი ადმინისტრატორის არ ყოფნის შემთხვევაში დროებით ასრულებს მის მოვალეობებს. ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.
- **ქსელის მთავარი ადმინისტრატორი** - მართავს ქსელურ საკომუნიკაციო აპარატურას, განსაზღვრავს ქსელის ტოპოლოგიას, განსაზღვრავს დამისამართებას, აგებს და მართავს ვირტუალურ ქსელებს, განსაზღვრავს ქსელის რეზერვირების ამოცანებს, უზრუნველყოფს ქსელში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას, აგებს ქსელის ტოპოლოგიურ და ფუნქციონალურ ნახაზებს, ადგენს ქსელში მარკირების წესებს. ქსელის მთავარი ადმინისტრატორი, სისტემის ადმინისტრატორთან ერთად ახორციელებს ძირითადი (ცენტრალური) ქსელური კვანძის მოდერნიზაციას და კონფიგურაციას. სისტემის ადმინისტრატორის არ ყოფნის შემთხვევაში დროებით ასრულებს მის მოვალეობებს. ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.
- **ინფორმაციის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციები**: - ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნათა შესრულების ყოველდღიური მონიტორინგი, ინფორმაციული აქტივებისა და მათზე წვდომის აღწერა; ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შიდაუწყებრივი დოკუმენტაციის მომზადება; ინფორმაციის უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათზე რეაგირების მონიტორინგი; ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშგება ცენტრის უფროსის წინაშე; ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგადი და დარგობრივი ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება; უზრუნველყოფს ცენტრის მიერ შექმნილი უსაფრთხოების პოლიტიკის მონიტორინგს და მის გავრცელებას უნივერსიტეტის მასშტაბით. აწარმოებს კიბერ-ინციდენტების აღმოჩენას და რეაგირებას. მონაწილეობს კიბერ-უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნაში. ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

- **სისტემის ადმინისტრატორი** - ახორციელებს ორგანიზაციაში არსებული სისტემების მხარდაჭერას. იღებს დავალებებს სისტემის მთავარი ადმინისტრატორის მხრიდან. მონაწილეობას იღებს ცენტრში არსებული სერვისების მართვაში. აწარმოებს სტუ-ს ღრუბლოვანი სისტემაში მომხმარებლების რეგისტრაციას, უფლებების გაწერას, მანქანების კლონირებას, რეზერვირებას და აღდგენას. ახდენს უნივერსიტეტის სერვერებზე განთავსებული სისტემების არქივირებას და აღდგენას. სისტემის მთავარი ადმინისტრატორის არ ყოფნის შემთხვევაში დროებით ასრულებს მის მოვალეობებს. ანგარიშვალდებულია სისტემის მთავარი ადმინისტრატორის და ცენტრის უფროსის წინაშე.

- **ქსელის ადმინისტრატორი** - მართავს ქსელურ საკომუნიკაციო აპარატურას განაწილების და წვდომის დონეებზე. განსაზღვრავს ქსელის ფიზიკურ ტოპოლოგიას. უზრუნველყოფს ქსელში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას, აგებს ქსელის ფიზიკურ ნახაზებს. უზრუნველყოფს ქსელში მარკირების და აღრიცხვის მონიტორინგს. ხელმძღვანელობს კომპიუტერული ქსელის მხარდაჭერის და გაფართოების ჯგუფს. კოორდინაციას უწევს ქსელის ინჟინრების მუშაობას უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში.

შემოსული განაცხადების საფუძველზე ახდენს ქსელის გაფართოების წინასაპროექტო წინადადების მომზადებას. ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

- **ქსელის ინჟინერი** - ასრულებს კომპიუტერული ქსელის სამონტაჟო სამუშაოებს, უზრუნველყოფს საკომუნიკაციო კარადების და აპარატურის მონტაჟს. დაზიანებული ქსელის მონაკვეთის აღდგენას. ასრულებს ქსელის ადმინისტრატორის მითითებებს. ანგარიშვალდებულია ჯგუფის და ცენტრის უფროსის წინაშე. ახორციელებს ე.წ. ცხელ ხაზზე მომხმარებლების სატელეფონო მხარდაჭერას, პრობლემების აღრიცხვას და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე აღმოუჩენს დახმარებას მომხმარებელს.

კომპიუტერული ქსელის მონტაჟი ხორციელდება ქსელის ადმინისტრატორის მიერ შექმნილი პროექტის ან მითითების შესაბამისად. იგი ვალდებულია უზრუნველყოს კაბელების და აპარატურის სტანდარტის და უსაფრთხოების წესის დაცვით მონტაჟი და მარკირება. პროექტის დასრულების შემდეგ ინჟინერი ვალდებულია ქსელის ადმინისტრატორს აცნობოს შესრულებული სამუშაოს შესახებ, თუ სამუშაოების მიმდინარეობისას ინჟინერს წარმოექმნა ტექნიკური და სხვა სახის პრობლემა, ის ვალდებულია პრობლემის შესახებ შეატყობინოს ქსელის ადმინისტრატორს. წინასწარი პროექტის გარეშე ამოცანის შესრულების ან შესრულების დროს პროექტში ცვლილების წარმოქმნის შემთხვევაში ქსელის ინჟინერი ადგენს სამუშაო ნახაზს და წარუდგენს ქსელის ადმინისტრატორს, რომელიც შემდგომ მას ასახავს ტოპოლოგიურ ნახაზებში.

- **ვებ ოსტატი(ვებ დეველოპერი)** - უზრუნველყოფს სტუ-ს საიტის ინფორმაციულ მხარდაჭერას, არსებული ვებ-გვერდების განახლებას. უნივერსიტეტის ფაკულტეტების და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის ახალი გვერდების შექმნას, სტრუქტურის ჩამოყალიბებას და სამართავი მონაცემების გადაცემას. უზრუნველყოფს

ვებ-გვერდის მაკეტის შექმნას და მის მორგებას სხვადასხვა მოწყობილობებზე; ახდენს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაციას ვებ-გვერდთან; დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყო ვებგვერდის დიზაინი; აწარმოებს უნივერსიტეტის საფოსტო სერვერის ადმინისტრირებას და მასში მომხმარებლების დამატებას.

- **ვებ პროგრამისტი** - აწარმოებს სტუ-ს ვებ სივრცეში არსებული გვერდების მონიტორინგს, ანალიზს, პროგრამულ განახლებებს და პასუხისმგებელია საიტის გამართულ მუშაობაზე. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ძირითადი ვებ-გვერდების საძიებო სისტემებთან ოპტიმიზაციის სტრატეგიის შექმნას. პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ვებ სივრცის კიბერ-უსაფრთხოებაზე. წარმართავს ვებ საიტის განვითარების პროცესებს. უზრუნველყოფს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ვებ-სისტემების პროგრამულ მხარდაჭერას, ახალი პროგრამული მოდულების შექმნასა და მათ შემდგომ განვითარებას.
- **ვებ დიზაინერი** - უზრუნველყოფს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინის შექმნას; ამუშავებს ვექტორულ გამოსახულებას ვებ გვერდისათვის; ქმნის ვებგვერდის მულტიმედიურ კონტენტს; მონაწილეობს ფოტომასალის მოპოვებაში ვებგვერდისთვის.
- **კონტენტ მენეჯერი** - უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას: უნიკალური კონტენტის შექმნა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს საძიებო სისტემების მოთხოვნები; გაამდიდროს კონტენტი (გამოიყენოს და მოიძიოს ფოტო/ვიდეო მასალა და ა.შ); შეიმუშავოს სოციალური მედიის სტრატეგია, მართოს სოციალური მედიის პლატფორმები (Facebook, Twitter, Youtube); ინტერნეტ მარკეტინგული ღონისძიებების შექმნა/კონტროლი/კოორდინაცია; განათავსოს ინფორმაცია სხვადასხვა უნივერსიტეტების ფორუმებზე, ბლოგებზე, სოციალურ ქსელებში; Google Webmaster-ის მეშვეობით გაანალიზოს ვებ-გვერდის შეცდომები. ვებგვერდის და სოც. მედიის ვებ სტატისტიკის მუდმივი ანალიზი.

მუხლი 12

ცენტრს უფლება აქვს ერთჯერადი სამუშაოს შესრულებისათვის კონტრაქტის საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები დადგენილი წესით.

მუხლი 13

ცენტრის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების და ადმინისტრაციის ბიუჯეტიდან. ცენტრს აქვს უფლება აწარმოოს ეკონომიკური საქმიანობა.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 14

წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებისთანავე.